ოქმი N17

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი 2017 წლის 22 აგვისტო

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 35

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 26 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას თავმჯდომარეობდა მამუკა ქარდავა - საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, მ. ლემონჯარია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი).

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები

აზრი გამოთქვეს: ე. წურწუმია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ უკვე დაგვიანებულია შეწამვლა, თხილნარი გაფუჭებულია, სიმინდის ყანებსაც შეესია აზიური ფაროსანა და ისიც ფუჭდება, გამოდის რომ სამეგრელოს მოსახლეობა დარჩა შემოსავლის გარეშე და დაზარალდა.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელის განცხადებით, მოსახლეობა დაზარალებულია და შველას ითხოვს. ქალაქის ზოგიერთი ქუჩის მოსახლეობა პრეტენზიას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ მათ ქუჩაზე არ მომხდარა შეწამვლა და მოსავალი განადგურდა.

ა. ვარდია - გამომსვლელმა განმარტა, რომ მუნიციპალიტეტში მომაგრებულია ორი სპეცმანქანა და ეტაპობრივად ხდება შეწამვლა, გამომდინარე აქედან მუნიციპალიტეტის არცერთი ქუჩა და ადმინისტრაციული ერთეული არ დარჩება შეუწამვლავი.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს ეკონომიკურ განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის განმარტებით, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 14 ივნისის N1/1-1336 ბრძანების საფუძველზე აზიური ფაროსანის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების ჩასატარებლად, ხობის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა დამატებითი ქონების სახით, 1667 ლიტრი ინსექტიციდი ზონდერი - 1243 ჰა ხილის ფართობზე, ორ ეტაპად წამლობის ჩასატარებლად. პირველ ეტაპზე გაიხარჯა 836 ლიტრი ინსექტიციდი, ხოლო სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილით სააგენტო ითხოვს ნაშთად დარჩენილი 831 ლიტრი ინსექტიციდი ზონდერის, უსასყიდლოდ გადაცემას, მისი შემდგომში სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის გადასაცემად. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მომზადდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N31 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდგომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **ამბროსი ქარდავა**

მესამე მოწვევის საკრებულოს 2017 წლის 22 აგვისტოს რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. მამუკა ქარდავა
2. ტარიელ ალექსანდრია
3. გოჩა სიჭინავა
4. ლაშა ცატავა
5. ნუგზარ შუშანია
6. ლევან ქავთარაძე
7. ვასილ კუკავა
8. ედიშერ წურწუმია
9. თენგიზ აბაკელია
10. როსტევან გვარამია
11. მალხაზ ლაგვილავა
12. როლან სერგია
13. ფრიდონ შონია
14. მალხაზ ყურუა
15. კახა მიქაბერიძე
16. მერაბ ფილიპია
17. ბეჟან ქირია
18. მელორ გელანტია
19. შადიმან ჭილაია
20. მზია ლემონჯარია
21. გენადი ზარანდია
22. იგორ გოგოლაძე
23. კახა ლატარია
24. ალექსანდრე ნაჭყებია
25. გენადი ქაძანაია
26. გიორგი ხურცილავა